დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის ,,აისი" დირექტორის
2026 წლის N195326 ბრძანებით

სსიპ კოლეჯის ,,აისი" დისტანციური სწავლების წესი

მუხლი 1. დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

1. დოკუმენტი შემუშავებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს N143/ნ ბრძანების შესაბამისად

მუხლი 2. დისტანციური სწავლების ზოგადი პრინციპები

1. დისტანციური სწავლება წარმოადგენს დამატებით მეთოდს, რომელიც სსიპ კოლეჯის ,,აისი" პროფესიულ სტუდენტებს აძლევს პერსონალიზებული და მოქნილი სწავლის შესაძლებლობას (დროისა და ადგილის მიხედვით) ონლაინ რესურსებისა და ვიდეო-აუდიო არხების გამოყენებით სწავლის შედეგების მისაღწევად.
2. დისტანციური სწავლება გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:
ა) ფორსმაჟორული ვითარება;
ბ) ეპიდემიური მდგომარეობა და დისტანცირების აუცილებლობა;
გ) სტუდენტის ავადობა ან შეზღუდული შესაძლებლობები;
დ) მასწავლებლის დროებითი შრომისუუნარობა, როდესაც ობიექტზე ერთდროული

ყოფნა შეუძლებელია;
ე) გადაუდებელი სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები;
ვ) პროგრამით განსაზღვრული დისტანციური სწავლების შესაძლებლობა;
ზ) კოლეჯის მიერ განსაზღვრული სხვა დასაბუთებული გარემოებები.
3. დისტანციური სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის ძირითადი სწავლის შედეგების მიღწევას.
4. სწავლების დისტანციური ფორმატით განხორციელების შესახებ პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია.

მუხლი 3. დისტანციური სწავლების მოდელები

1. სსიპ კოლეჯში ,,აისი" დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მოდელებით.
2. სრულად ელექტრონულად, სინქრონულად – პროფესიული სტუდენტები და პროფესიული განათლების მასწავლებლები ერთდროულად უერთდებიან ელექტრონულ პლატფორმას უნიკალური მონაცემებით და კომუნიკაციას ამყარებენ აუდიო ან ვიდეო არხებით.
3. სრულად ელექტრონულად, ასინქრონულად – პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფესული სტუდენტები მუშაობენ დამოუკიდებლად, სხვადასხვა დროსა და ადგილას, წინასწარ დაგეგმილი პროცესის მიხედვით, ციფრული, აუდიო ან ვიდეო რესურსების გამოყენებით.
4. ჰიბრიდულად – ელექტრონული (სინქრონული ან ასინქრონული) და აუდიტორული სწავლის კომბინირებული მოდელი.

მუხლი 4. დისტანციური სწავლების ორგანიზება და პლატფორმების გამოყენება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან მისი კომპონენტების დისტანციურ რეჟიმში გადატანის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სსიპ კოლეჯის ,,აისი"დირექტორი, რომელიც ამის შესახებ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
2. სსიპ კოლეჯის ,,აისი" სასწავლო პროცესის მენეჯერი/მენეჯერები უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სასწავლო პროცესის დაორგანიზებას (სასწავლო გეგმის შესაბამისად ცხრილის შედეგნას, დისტანციური პლატფორმის შერჩევასა და მის გამართულობას).
3. დისტანციური სწავლების დროს საკონტაქტო საათი შეადგენს 1 აკადემიურ საათს.
4. კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, ჩატი, სადისკუსიო ფორუმები, ასევე პლატფორმები (Zoom, Google Meet და სხვა).
5. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის აღნიშნული პლატფორმების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას/კონსულტაციის გაწევას.

6. პროფესიული სტუდენტები ვალდებულნი არიან იმოქმედონ კოლეჯის მიერ განსაზღვრული ცხრილით, დაიცვან რეგისტრაციის წესები და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ ვიდეო/აუდიო მოწყობილობის ჩართვა.
7. სსიპ კოლეჯი ,,აისი" იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს თითოეული სტუდენტის ჩართულობა დისტანციურ სწავლებაში.
8. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის ელ. საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომას, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დავალებების მიწოდებასა და კონსულტაციების გაწევას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით (მათ შორის სატელეფონო კავშირით).
9. პროფესიული მასწავლებლები ვალდებულნი არიან დარეგისტრირდნენ ელექტრონულ პლატფორმებზე, უზრუნველყონ სტუდენტებისთვის სწავლის შესაბამისი მასალების მიწოდება და აქტივობის აღრიცხვა.
10. პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ დისტანციურ სწავლებაში მონაწილეობა ადეკვატური პირობებიდან.
11. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის სსიპ კოლეჯი ,,აისი" გამოყოფს შესაბამის სივრცეს და უზრუნველყოფს მათ სასწავლო პროცესში ჩართვას.
12. დისტანციური სწავლის პროცესში პირადი მონაცემების დაცვა სრულად არის უზრუნველყოფილი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
13. კოლეჯის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებებს დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის საჭირო რესურსის გამოყოფასთან დაკავშირებით.

მუხლი 5. დისტანციური სწავლებისას პროფესიული სტუდენტების შეფასების წესი

1. სსიპ კოლეჯში ,,აისი" დისტანციური სწავლებისას პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება მოდულების სწავლის შედეგების შესაბამისად, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი ფორმით. იმ მოდულებისთვის, რომელთა შედეგების დისტანციურად მიღწევა შეუძლებელია, სწავლება და შეფასება გადატანილი იქნება აუდიტორიულ ფორმატზე.
2. იმ მოდულებისთვის, სადაც სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია დისტანციური მეთოდით, პროფესიული მასწავლებლები ახორციელებენ შეფასებას დისტანციურად.
3. დისტანციური შეფასებისას პროფესიულ სტუდენტს ეკისრება ვალდებულება გამოიყენოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობა — წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ დაიშვება გამოცდაზე. წერითი დავალებები სრულდება ღია ან დახურული კითხვებით ელექტრონულ პლატფორმებზე (მაგ: Google Forms-ის).

მუხლი 6. ელექტრონული სწავლების პროცესი და მონიტორინგი

1. სასწავლო პროცესში პროფესიულის სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, გათვალისწინებულია ყველა პროფესიული სტუდენტის

ტექნიკური შესაძლებლობები. ასევე, დამატებითი მოთხოვნები შესაძლებელია განსაზღვრული იყოს პროფესიული პროგრამით.
2. სტუდენტი ვალდებულია პირდაპირ რეჟიმში ჩართვა განახორციელოს ელექტრონული სწავლებისას გამოსაყენებელი ეტიკეტის ნორმების დაცვით.
3. ელექტრონული სწავლების პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი/მენეჯერები ანდა სასწავლო პროცესის მენეჯერის ასისტენტი/ასისტენტები , რაც გულისხმობს სასწავლო ცხრილის მიხედვით სასწავლო მასალების განთავსებისა და მეცადინეობების ჩატარების პერიოდულ კონტროლს.
4. სავალდებულოა გაკვეთილების ვიდეო/აუდიო ჩაწერა, რომლის განხორციელების შესახებაც წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტებს;

მუხლი 7. ინტერნეტ ეტიკეტი და პერსონალური ინფორმაციის დაცვა

1. ელექტრონული სწავლების პროცესში ინტერნეტ ეტიკეტი მოიცავს:
ა) მასწავლებლისა და სტუდენტის ურთიერთპატივისცემას;
ბ) ყურადღების და დროის ლიმიტის დაცვას;
გ) უცხო პირების არმოწვევას მეცადინეობაზე დასასწრებად;
დ) პერსონალური ინფორმაციის არ გაზიარებას;
ე) მეცადინეობის ჩაწერის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას;
ვ) ელექტრონული შეფასების პროცესში პლაგიატის აკრძალვას, რაც გულისხმობს სხვა პირის მიერ დავალების შესრულებას, გადაწერას, სხვა პირის დახმარებას და ა.შ.
ზ) იუმორისა და სარკაზმისგან თავის შეკავებას;
თ) სხვა ქმედებებს, რომელიც არ შეესაბამება საგანმანათლებლო სივრცეში ქცევის ზოგად წესებს და ხელს უშლის სწავლა-სწავლების ნორმალურ განხორციელებას.
2. ელექტრონული სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს დისკუსიის პანელის ეტიკეტი,რაც გულისხმობს მხოლოდ საკითხთან მიმართებით დასმულ კითხვებს ჩატში მიწერისა და ვერბალური კომუნიკაციის ფუნქციით.
3. ელექტრონული სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს ელექტრონული გზავნილების ეტიკეტი, რაც გულისხმობს:
ა) ელექტრონული გზავნილის (ელექტრონული ფოსტა, სწავლების პროცესში გამოყენებული სხვადასხვა პლატფორმაში მიმოწერა) საგანი უნდა იყოს მოკლე და მიზნობრივი;
ბ) გზავნილში ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა განთავსდეს დასაწყისში;
გ) პირადი რეგალიების/ვინაობის მითითება;
დ) გაგზავნამდე ადრესატების გადამოწმება.
4. ელექტრონული სწავლების პროცესში დაცულია პერსონალური მონაცემები. მეცადინეობების პროცესში გაკეთებული ვიდეო ჩანაწერები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ კოლეჯის შიდა მოხმარებისთვის, მონიტორინგისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
5. დისტანციური სწავლების პროცესში შექმნილი ნებისმიერი ვიდეო ლექცია და ელექტრონული სასწავლო მასალა ეკუთვნის კოლეჯს.

6. კოლეჯი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს არსებული ელექტრონული მასალა (სასწავლო რესურსები; ინტერაქტიული ელექტრონული გაკვეთილები; ელექტრონული სიმულაციები, სლაიდები და სხვა).

მუხლი 8. ხარისხის უზრუნველყოფა ელექტრონული სწავლებისას

1. ელექტრონული სწავლება შეიცავს ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგ ელემენტებს,
რომლებიც მოიცავს:
ა) ინსტიტუციურ მხარდაჭერას;
ბ) საჭიროების შემთხვევაში, პროგრამების განხორციელებაში პროფესიული განათლების მასწავლებლების მხარდაჭერას და ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით მათი სავალდებულო ტრენინგით უზრუნველყოფას;
გ) სტუდენტთა მხარდაჭერას და ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით საჭირო
ინსტრუქციით მათ უზრუნველყოფას;
დ) ელექტრონული უსაფრთხოების ზომებს.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. აღნიშნულ წესს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. აღნიშნულ წესში ცვლილებებსან/დადამატებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.